

၉၈၈၅၆၅

ჯეკ კერუაკი

გზაზე

დიდგენის
ბიბლიოთეკა

ჯექ კერუაკი
ბზაზე

Jack Kerouac
ON THE ROAD

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ქილაძემ

რედაქტორი: ანა ჭაბაშვილი
დამკაბადონებელი: ნინო გურული
ყდის დიზაინერი: გიორგი ბაგრატიონი

© 1955, 1957, Jack Kerouac
Copyright renewed © 1983, Stella Kerouac
Copyright renewed © 1985, Stella Kerouac and Jan Kerouac
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2012, 2025
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-906-4

www.diogene.ge

პირველი ნაწილი

I

პირველად დინს რომ შეეხვდი, ცოლს ცოტა ხნის გაშორებული ვიყავი. მძიმე ავადმყოფობაც ახალი გადატანილი მქონდა, ოღონდ ახლა ამაზე ლაპარაკით თავს არ შევიწუხებ, მხოლოდ ის მინდა აღვნიშნო, რაც გარკვეულწილად იმ უბედურ განქორწინებას და ჩემს უგუნებობას უკავშირდება. დინ მორიარტის გამოჩენასთან ერთად, შეიძლება ითქვას, ჩემს ცხოვრებაში დაიწყო ახალი ეტაპი – ცხოვრება გზაზე. მანამდეც ბევრჯერ მიფიქრია დასავლეთისკენ გამგზავრებაზე, მაგრამ ვერა და ვერ მოვაბი თავი. დინი ზედგამოჭრილი კაცია გზაზე სახეტილოდ, შეიძლება იმიტომაც, რომ გზაზე დაიბადა, როცა 1926 წელს თავიანთი დანჯღრეული მანქანით ლოს-ანჯელესისკენ მიმავალი მისი მშობლები სოლთ-ლეიქ-სითიში შეჩერდნენ. დინის შესახებ პირველად ჩად კინგისგან შევიტყვე. ჩადმა ნიუ-მექსიკოს გამოსასწორებელი კოლონიიდან გამოგზავნილი დინის წერილებიც მაჩვენა. წავიკითხე და დინის გულუბრყვილობამ და სენტიმენტაურობამ ძალიან დიდი ინტერესი გამიჩინა მის მიმართ – ჩადს სთხოვდა, ესწავლებინა, თუკი რამე იცოდა ნიცშესა და, საერთოდ, იმ გასაოცარი ინტელექტუალური ამბების შესახებ. ერთხელ მე და კარლომ დიდხანს ვისაუბრეთ დინის წერილებზე და ვამბობდით, ნეტა ოდესმე თუ გავიცნობთ კიდეცო. ეს ყველაფერი მაშინ ხდებოდა, როცა დინი სულ სხვა, ციხიდან ახლად გამოსული და საიდუმლოებით მოცული ტიპი იყო. მერე შევიტყვეთ,

კოლონიიდან გამოეშვათ და ჩამოსვლას აპირებდა ნიუ-იორკში, სადაც მანამდე ნამყოფი არ იყო; რაღაც ხმებიც მოგვივიდა, თითქოს გოგონა, სახელად მერილუ, შეირთო ცოლად.

ერთხელაც, კამპუსში რომ დავეხეტებოდი, ჩაღმა და ტიმ გრეიმ მითხრეს, დინი ერთ მოუწყობელ ბინაში გაჩერებულა სადღაც აღმოსავლეთ ჰარლემის ესპანურ კვარტალში და თან თავისი მშვენიერი და ჭკუადამაჯდარი მერილუ ახლავსო. ნიუ-იორკში წინა დღით ჩამოსულიყვნენ. საქალაქთაშორისო ავტობუს „გრეიჰაუნდიდან“ 50-ე ქუჩაზე გადმოვიდნენ თუ არა, ადგილის ძებნა დაიწყეს, რომ რამე ექამათ. პირდაპირ „ჰექტორის“ კაფეტერიას მიადგნენ და, მგონი, იმ დღიდან ეს კაფეტერიები დინისთვის ნიუ-იორკის სიმბოლოდ იქცა. კარგადაც დახარჯულა ლამაზ, შოკოლადმოსხმულ ნამცხვრებსა და ათქვეფილ ნაღებზე.

კაფეტერიაში ყოფნისას დინი მერილუს, ალბათ, ჩასჩინებდა: – ძვირფასო, ახლა უკვე ნიუ-იორკში ვართ და მინდა გითხრა ის, რაც აქამდე ვერ გითხარი და რაზედაც მთელი გზა ვფიქრობდი, როცა მისურის ვკვეთდით, ან განსაკუთრებით, როცა კოლონია „ბუნვილს“ ჩავუარეთ, რომელმაც ციხის ამბები მომაგონა. ახლა აუცილებელია დავივინყოთ და გვერდზე გადავდოთ ყველაფერი, რასაც აქამდე ვიყავით მიჩვეული და დაუყოვნებლივ შევუდგეთ კონკრეტული საქმეების დაგეგმვაზე ფიქრს... აი, როგორ მსჯელობდა იმ დღეებში დინი.

როცა ბიჭებთან ერთად დინს მივადექი, შორტის ამარა შემოგვეგება. მერილუ ტახტიდან წამოხტა; როგორც ჩანს, დინმა სახლის პატრონს სამზარეულოში ყავის მოდუღება სთხოვა, თვითონ კი სიყვარულით იყო გართული. დინისთვის სექსი ყველაზე მნიშვნელოვანი და წმინდა რამ იყო ამქვეყნად, მიუხედავად იმისა, რომ ლუკმაპურის საშოვნელად ბევრი უსიამოვნების გადატანა და ოფლის ღვრა უხდებოდა. დინი, ერთი შეხედვით, ახალგაზრდა მოკრივეს ჰგავდა, მწვრთნელის რჩევას ყურადღებით რომ უსმენს თავდახრილი და ყოველ წუთს „დიას“ და „გასაგებიას“ იმეორებს. რაღაცით ახალგაზრდა ჯინ ოტრისაც მივამსგავსე – მონესრიგებულს, ვინროთე-

ძოებიანს, ცისფერთვალას. მოკლედ, ოკლაჰომური აქცენტიცა და ბაკენბარდებით ნამდვილი თოვლიანი დასავლეთის გმირი იყო. ისე, სანამ მერილუს ცოლად შეირთავდა და აღმოსავლეთისკენ გამოეშურებოდა, კოლორადოში ედ უოლის რანჩოშიც ემუშავა.

ოქროსკულულებიანი მშვენიერი მერილუ ტახტის კიდეზე ჩამოშვდარიყო და ლამაზი სოფლელი გოგოს თვალებით რაღაცას მიშტერებოდა. ახლა ნაცრისფერ და უღმობელ ნიუ-იორკში ნაქირავე ბინაში ცხოვრობდა, რომელზეც დასავლეთში ბევრი რამ სმენოდა. იჯდა, თითქოს რაღაცის მოლოდინში, როგორც მოდილიანის სიურრეალისტური, გადაღლილი ქალი, უცნაურად ტანნაგრძელებული. ერთი შეხედვით გულმისასვლელი გოგონა ბევრი სისულელის და სისაძაგლის ჩამდენიც გახლდათ. იმ საღამოს ლუდით გამოვთვერით, ბევრი ვიყბედეთ და ვიხორხოცეთ. გამთენიისას, როცა უღიმღამო დილის სხივმა შემოანათა, ჩვენ კი არაქათგამოცლილები ისევ მაგიდას ვუსხედით და სავსე საფერფლეში ნამწვებს ვეძებდით, მოულოდნელად, დინი მკვირცხლად წამოხტა და ოთახში ბოლთის ცემას მოჰყვა. დადიოდა და ფიქრობდა, მერილუსთვის საუზმის მომზადება და იატაკის გამოგვა როდის დაევალებინა.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, – მიდი, გაინძერი, ძვირფასო, ასე არაფერი გამოგვივა, ვერც ჭეშმარიტ ცოდნას ვეზიარებით და ვერც ჩვენს გეგმებს შევასხამთ ხორცს.

აი, მაშინ იქაურობა დავტოვე.

მომდევნო კვირას დინმა ჩადს გაუმხილა, ძალიან მინდა, ნერა ვისწავლოო და დახმარება სთხოვა. ჩაღმა რჩევისთვის ჩემთან გამოუშვა, უთხრა, თუ ჩვენს წრეში რომელიმეს მწერალი ეთქმის, ის კაცი. ამასობაში დინმა ავტოსადგომზე სამსახური იშოვა და მერილუსაც წაეჩხუბა. მერილუ ისე გაბრაზდა, შურის საძიებლად პოლიციაში დარეკა და რაღაც გიჟური ცრუ ჩვენება მისცა დინის წინააღმდეგ. დინს სასწრაფოდ ჰობოკენის ბინის – ღმერთმა უწყის, საერთოდ რა უნდოდა იქ – დაცლა და დატოვება მოუხდა. ასე რომ, დინი უსახლკაროდ დარჩა. პირდაპირ ნიუ-ჯერსიში მომადგა, სადაც მამიდასთან ერთად ვცხოვრობდი. ერთ საღამოს, როცა

ვმეცადინეობდი, კარზე კაკუნის ხმა შემომესმა. ჩაბნელებულ შემოსასვლელში დავინახე, თავჩაქინდრული დინი ადგილზე როგორ ცმუკავდა.

– გამარჯობა, გახსოვარ? დინ მორიარტი ვარ. მოვედი, რომ გთხოვო, იქნებ ჩემთვის წერა გესწავლებინა.

– კი მაგრამ, მერილუ სად არის? – ვკითხე, რაზედაც ასე მიპასუხა:

– მერილუ არ დაიკარგება, როგორც ეტყობა, ბოზობით რამდენიმე დოლარი იშოვა და დენვერში დაბრუნდა.

ლუდის დასაღვეად გარეთ გავედით, თანაც მამიდაჩემის თანდასწრებით ჩვენს გემოზე ვერ ვისაუბრებდით. მამიდა სასადილო ოთახში იჯდა და გაზეთს კითხულობდა, როცა დინი გვესტუმრა. ერთი გახედა და, ალბათ, დაასკვნა, ვერ უნდა იყოს მთლად დაღლებულიო.

ბარში დინს ასე ვუთხარი:

– ძმაო, ვიცი, მარტო იმისთვის არ მოსულხარ აქ, მწერლობა რომ გაქვს გადაწყვეტილი. სიმართლე გითხრა, ბევრი არც მე გამეგება. ერთი ის შემიძლია გითხრა, რომ ამ საქმეზე ამფეტამინზე შემჯდარივით უნდა გახდე.

მან კი მიპასუხა:

– ჰო, რა თქმა უნდა, ზუსტად მესმის, რასაც მეუბნები, ეგ ამბები ჩემთვისაც ნაცნობია. იცი, ყველაზე მეტად რა მაინტერესებს? ვთქვათ, რამდენად აუცილებელია შოპენჰაუერის დიქტომიის გათვალისწინება, როცა გინდა, რაღაცას ბოლომდე ჩასწვდე...

და ასე გავაგრძელეთ საუბარი თემაზე, რომლისაც არც მე გამეგებოდა დიდად რამე და არც თავად დინს. იმ დღეებში მართლა არ ჰქონდა წარმოდგენა, რაზე ლაპარაკობდა; ერთი ნაცისხარი ბიჭი იყო, ტვინში ჰქონდა გაჭედილი, რომ, რაღაც უნდა დასჯდომოდა, ყველა შესაძლებლობა გამოეყენებინა და ჭეშმარიტი ინტელექტუალი გამხდარიყო. ისეთი ტონით უყვარდა ლაპარაკი და ისეთ სიტყვებს ამბობდა, „ჭეშმარიტი ინტელექტუალებისგან“ რომ სმენოდა, ოღონდ რაღაცნაირად არეულ-დარეულად. ისე, რომ იცო-

დეთ, სხვა საკითხებში არცთუ ისეთი გულუბრყვილო ახალგაზრდა კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. სულ რამდენიმე თვე დასჭირდა, კარლო მარქსის ტერმინოლოგია და ჟარგონი რომ გაეთავისებინა. ასე იყო თუ ისე, ჩვენ კარგად გავუგეთ ერთმანეთს სიგიჟის სხვა დონეებზე. ვუთხარი, სანამ სამუშაოს მოძებნი, შეგიძლია, ჩემთან იცხოვრო-მეთქი. მერე, სამომავლოდ, დასავლეთისკენ გამგზავრებაც დავგეგმეთ. ეს ყველაფერი 1947 წლის ზამთარში ხდებოდა.

ერთ საღამოს – მაშინ დინს ნიუ-იორკის ავტოსადგომზე სამუშაო უკვე ნაშოვნი ჰქონდა – ჩემთან ვივარდით და ის იყო საბეჭდო მანქანას მიუჯვრეტი და გამალებით დავინწყე ბეჭდვა, რომ დინმა მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

– მიდი დროზე, ხომ იცი, გოგოები არ იცდიან.

ვუპასუხე:

– ერთი წუთიც მაძროვე რა, მივფრინავთ, ოღონდ ეს თავი დამამთავრებინე.

ნიგინს ერთ-ერთ საუკეთესო ნაწყვეტზე ვმუშაობდი. მერე უცებ გადავიცვი და გოგოებთან შესახვედრად ნიუ-იორკისკენ მოვუსვით. ავტობუსით ლინკოლნის გვირაბში რომ გავდიოდით, ერთმანეთს ვებლაუჭებოდით, ვცვიროდით და ხმამაღლა, ალგზნებულები ვლაპარაკობდით. უკვე ვგრძნობდი, დინი – ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე კაცი – არც მეტი, არც ნაკლები, ჩემი ცხოვრების ნაწილი გამხდარიყო. მართალია, ცოტა თვალთმაქციც იყო, მაგრამ სხვაგვარად არ შეეძლო, იმიტომ, რომ სიცოცხლე და ხალხთან ურთიერთობა სწყუროდა. იცოდა, გაიძვერობა რომ არა, ზედ არავინ შეხედავდა. მეც მასულებედა და ამას მშვენივრად ვხვდებოდი (ბინა იქნებოდა ეს, კვება, თუ „მითხარი, მწერალი როგორ გავხდე?“). მაგრამ თავადაც იცოდა, მე რომ ვხვდებოდი და შეიძლება სწორედ ამას ემყარებოდა ჩვენი მეგობრობა. მთავარი ის იყო, რომ ერთად კარგად ვგრძნობდით თავს – რა პირფერობაზე ან თავის მობეზრებაზე შეიძლება ლაპარაკი – ის კი არა, როგორც გულითად მეგობრებს სჩვევიათ, სულ თვალებში შევციცინებდით ერთმანეთს. მე იმდენივე ვისწავლე დინისგან, რამდენიც იმან ისწავლა ჩემგან.

რაც შეეხება წიგნს, რომელზეც მაშინ ვმუშაობდი, დინი ასე მეტყოდა ხოლმე:

– მიდი, მიდი, რასაც წერ, ყველაფერს მაგრად წერ!

როცა ვბეჭდავდი, ზურგს უკან მედგა და დამძახოდა:

– ხო! ეგრეა, ეგრე! აუ, ბიჭო!

ხან:

– ფუი! – და სახეს ცხვირსახოცით მოინმენდდა ხოლმე.

– აზრზე ხარ, რამდენი რამის გაკეთება და რამდენი რამის დაწერა შეიძლება?! კაცმა რომ თქვას, რა იქნება, ჩანაწერებით მაინც რომ დავიწყო, ყოველგვარი ლიტერატურული დოგმების და იმ დამთრგუნველი გრამატიკული წესების გაუთვალისწინებლად...

დინი ისეთი ალგზნებული იყო და ისე მგზნებარედ ლაპარაკობდა, მეჩვენებოდა, თითქოს რაღაც ღვთიურ ცეცხლს აფრქევდა გარშემო. ავტობუსში ხალხი ტრიალდებოდა, რომ ამ „გადარეულისთვის“ შეეხედა. სანამ დასავლეთში იყო, დინმა ცხოვრების ერთი მესამედი საბილიარდოში გაატარა, მეორე ციხეში და კიდევ ერთი მესამედი საჯარო ბიბლიოთეკაში. ხშირად ნახავდით ზამთრის სუსხიან დღეს, როგორ მიიჩქაროდა თავშიშველი, წიგნებით ხელში, საბილიარდოსკენ, ან ხიდან რომელიმე თავისი მეგობრის სხვენში ძვრებოდა, სადაც რამდენიმე დღეს გადაბმულად კითხულობდა ან პოლიციას ემალებოდა.

ნიუ-იორკში ჩავალწიეთ – კარგად არც მახსოვს, მერე რა მოხდა, მგონი, ორი ფერადკანიანი გოგო იყო, მაგრამ გოგონები ვერ ვნახეთ; დინს რომელიღაც იაფფასიან რესტორანში ჰქონდა დათქმული შეხვედრა, მაგრამ არ მოვიდნენ. ავტოსადგომზე მივედით, დინმა ტანსაცმელი ჯიხურში გამოიცვალა, გაბზარულ სარკეში თავი ცოტა მოინესრიგა და იქაურობა დავტოვეთ. იმ საღამოს დინი პირველად შეხვდა კარლო მარქსს. დიდებული რამ მოხდა – როგორც იქნა, დინმა და კარლომ ერთმანეთი გაიცნეს. წარვუდგინე თუ არა ერთმანეთს ეს ორი საოცრად გონებამახვილი კაცი, აშკარა სიმპათიით განწყვენენ ერთმანეთის მიმართ. გამჭრიახი მზერა შეაგება ერთმანეთს ორმა თვალთმაქცმა: ღვთიურმა, ნათე-

ლი გონების პატრონმა და გულჩათხრობილმა, პოეტური ბუნებით დაჯილდოებულმა, როგორიც გახლდათ კარლო მარქსი. იმ წუთიდან დინს იშვიათად ვხედავდი და ამის გამო ცოტა ვნალვლობდი კიდეც. ორი მოზღვავებული ენერგია შეეჯახა ერთმანეთს და მე ვინ ვიყავი, რომ გავტოლებოდი, ქაჯივით ვჩანდი მათ გვერდით. სწორედ იმ საღამოს დაიწყო მთელი ის ალიაქოთი და სიგიჟე, რომლის თანამონაწილეც გახდა ყველა ჩემი მეგობარი და ისინი, ვინც კი ოჯახიდან შემომრჩა, ყველა კოსმოსური მტერის უზარმაზარ ღრუბელში გაეხვია, „ამერიკული ლამის“ თავზე რომ ეკიდა. კარლო დინს ბებერი ხარის, ლის ამბებს მოუყვა, მერე ელმერ ჰასელზეც და ჯეინზეც უამბო: როგორ მოჰყავდა ლის ტეხასში მარიხუანა, როგორ ჩასვეს ჰასელი რიკერის კუნძულზე ციხეში, როგორ დაბორიანებდა ბენზედრინის ჰალუცინაციით გაშტერებული ჯეინი ჩვილი ქალიშვილით ხელში თაიმზ-სკვერზე და საბოლოოდ, ბორიანი ბელვიუს საავადმყოფოში დაასრულა. დინი, თავის მხრივ, კარლოს დასავლელ, მისთვის უცნობ ხალხზე უყვებოდა – ვილაც ბილიარდის მოთამაშე თაღლით ჰომოსექსუალ თომი სნარკზე, როი ჯონსონზე, დიდ ედ დანკელზე, თავის ბავშვობის ძმაცაცებზე, მანანალეზე, რამდენი ქალი ჰყოლია, სექს-ფართიზე და პორნოგრაფიულ სურათებზე, თავის გმირ ქალებსა თუ კაცებზე. მოკლედ, მთელი თავგადასავალი უამბო. ერთად გაცვივებოდნენ ხოლმე ქუჩაში და თითქოს მთელ ქუჩას ერთბაშად ისრუტავდნენ. მაგრამ ეს თავდაპირველად იყო ასე და თუ მერე სევდიანი მოგონებებილა შემორჩათ და შეიძლება უხერხულობასაც კი გრძნობდნენ, მაშინ შეშლილებივით, ცეკვა-ცეკვით მიუყვებოდნენ ქუჩებს. მე კი უკან მივჩანჩალედი. მთელი ცხოვრება ასე გავატარე, ასე კუდში დავდევი ადამიანებს, ვინც მაინტერესებდა, რადგან მხოლოდ გიჟებს ვთვლი ადამიანებად, ვისაც სიგიჟემდე უნდა, იცხოვროს, ვინც შემლილივით გელაპარაკება, ვისაც გაგიჟებით უნდა, შეამჩნიონ და თან ყველაფერს დახარბებულია, ყველაფერი ერთბაშად უნდა, რომ მიიღოს. ისინი არასოდეს ამთქნარებენ მონყენილობისაგან და არც გაცვეთილი ფრაზებით ლაპარაკობენ. მხოლოდ იწვიან, იწვიან, იწ-

ვიან რომაული ყვითელი სანთლებივით და მერე ფეთქდებიან, რათა ვარკვლავებს ობობას ქსელისმაგვარი შუქი მოაფრქვიონ. ვარკვლავების შუაგულში ცისფერი სინათლე კაშკაშებს და ვინც მას დაინახავს, „აუუ!“ აღმოხდება. როგორ იყო? როგორ ეძახდნენ ასეთ ახალგაზრდებს გოეთეს გერმანიაში?

დინს გულით და სულით სურდა, კარლოსავით წერა ესწავლა. გადანყვიტა, კარლო მოეთაფლა, მხოლოდ თვალთმაქცებმა რომ იცინან, ისე:

– კარლო, ნება მომეცი, გითხრა, აი, რას ვფიქრობ...

მთელი ორი კვირა არც ერთი აღარ მინახავს და ამ ხნის განმავლობაში, დღედაღამე გაუთავებელმა ლაქლაქმა ისინი ისე დააახლოვა, ეშმაკიც ვეღარ დააშორებდა.

დადგა გაზაფხული, საუკეთესო სეზონი იმათთვის, ვისაც ხეტიალი უყვარს. ჩემმა მიმოფანტულმა მეგობრებმაც დაიწყეს მოგზაურობაზე ფიქრი, ზოგმა სად და ზოგმაც სად. მე მაშინ რომანზე ვმუშაობდი და არ მეცალა. როცა შევატყვე, რომ შუამდე ვიყავი გასული და მას შემდეგ, რაც მამიდასთან ერთად სამხრეთში ჩემს ძმას, როკოს დავეხდე, უკვე მეც დავინყე ზრუნვა დასავლეთში გამგზავრებაზე. დასავლეთში პირველად მივდიოდი.

დინმა გამასწრო. მე და კარლომ გავაცილეთ 34-ე ქუჩაზე მდებარე სადგურ „გრეიჰაუნდიდან“. სადგურის ზედა სართულზე 25 ცენტად ფოტოს გადაიღებდი. კარლომ სათვალე მოიხსნა და ბანდიტს დაემსგავსა, დინმა პროფილში გადაიღო სურათი, თან უხერხულად იყურებოდა აქეთ-იქით. მე ოცდაათი წლის იტალიელს ვგავდი, დაუფიქრებლად რომ მოკლავს დედის ავად მახსენებელს. დინმა და კარლომ ფრთხილად გაჭრეს ფოტო შუაზე და ნახევარ-ნახევარი თავ-თავიანთ საფულეებში შეინახეს. დინი ჭეშმარიტი დასავლელი ბიზნესმენის კოსტიუმში გამოწყობილიყო. ის ხომ ნიუ-იორკში პირველი განავარდების მერე დიდი მოგზაურობიდან ბრუნდებოდა დენვერში. გაინავარდა-მეთქი, ვამბობ, თორემ ვირივით შრომობდა ავტოსადგომზე. ჩემი აზრით, დინი მსოფლიოში ყველაზე უცნაური, მართლაც ფანტასტიკური კაცი იყო იმათ შორის, ვისაც კი ოდეს-

მე ავტოსადგომზე უმუშავია. მთელი სიჩქარით შეაგდებდა ხოლმე მანქანას ყველაზე ვიწრო გასასვლელში და ზედ კედელთან ამუხრუჭებდა. მერე სხვა მანქანაში ჩახტებოდა, საათში თითქმის ორმოცდაათი მილის სიჩქარით ადგილზე მოატრიალებდა და იმასაც თავის ადგილას დააყენებდა. კაბინიდან ისე სწრაფად გადმოხტებოდა, მანქანა შეჯანჯღარდებოდა ხოლმე, სპრინტერივით გაირბენდა მოკლე დისტანციას და ჯიხურთან მოსულ კლიენტს შემოსასვლელ ბილეთს გაუნვდიდა. ახალი მანქანა რომ შემოგორდებოდა, პატრონს გადმოსვლას არ აცდიდა, ლამის ფეხებში გაუძვრებოდა, საჭეს მიუჯდებოდა და მოხევდა სადგომისკენ. რვა საათს მუშაობდა შეუსვენებლად – კაბინაში შეხტებოდა, მოუხვევდა, სადგომზე დააყენებდა, მერე ისევ ჯიხურისკენ გარბოდა თავქუდმოგლეჯილი და ასე მთელი ღამე, თანაც პიკის საათებში, ანდა როცა თეატრებში წარმოდგენა მთავრდებოდა. მანანალას დათხუპნილი შარვალი, გაცვეთილი პიჯაკი და ძირგავარდნილი ფეხსაცმელი ეცვა. ასე ემსახურებოდა დინი ხალხს. ახლა კი, რადგან უკვე შინ ბრუნდებოდა, მესამე ავენიუზე თერთმეტ დოლარად იყიდა ცისფერი კოსტიუმი თავისი ჟილეტით და ყველაფრით. კოსტიუმს ისეთი წვრილი ზოლები დაუყვებოდა, გეგონება, ფანქრით არის დახაზულიო. არც ძენკვზე დაკიდებული ჯიბის საათისა და პორტატიული საბეჭდი მანქანისთვის დაიშურა ფული. დენვერში ავეჯიან ბინას დაიქირავებდა და როგორც კი სამუშაოს იშოვიდა, იმნამსვე აპირებდა წერის დანყებას. გამოსამშვიდობებელ სადილს – სოსისებსა და ლობიოს – მეშვიდე ავენიუზე, რესტორან „რიკერსში“ გეახელით. მერე დინი ჩიკაგოს ავტობუსში ავიდა და ლამის სიბნელეში გრუხუნით შთაინთქა. აი, ჩვენი კოვბოიც გავაცილეთ. დინი წავიდა თუ არა, თავს აღვუთქვი, როგორც კი გამოიდარებს და გაზაფხულზე კვირტები გამოვა, მეც მის გზას დავადგები-მეთქი.

ასე დაიწყო ჩემი თავგადასავალი გზაზე და ისეთი წარმოუდგენელი ამბები გადამხდა, არ შეიძლება, არ მოვყვე.

ჰო, ასე აენყო ყველაფერი, იმიტომ არა, რომ მწერალი ვიყავი, ახალი განცდები ან დინის უკეთ გაცნობა მჭირდებოდა, ან კიდევ

კამპუსში ყალი მომწყინდა და თავს უმაქნისად ვგრძნობდი. მიზეზი, ალბათ, უფრო ის იყო, რომ, ჩემგან ძალიან განსხვავებული ზნის მიუხედავად, დინი დიდი ხნის წინ დაკარგულ ძმას მაგონებდა; მის გატანჯულ, ძვლიან, ბაკენბარდებიან სახეს და დაკუნთულ, გაოფლილ კისერს ვუყურებდი და უნებლიეთ მდინარეების, პატერსონის და პასეიკის ნაპირები მახსენდებოდა, სადაც ბავშვობის წლები გავატარე. დაძინილი სამუშაო ტანსაცმელი დინს ისე ლამაზად აჯდა ტანზე, ვერც კი წარმოიდგენდი, თუ რომელიმე მკერავი შეძლებდა, უკეთ მოერგო, რადგანაც მისი სამოსი თანდაყოლილი, ბუნებრივი სიხალისე იყო. როცა დინი აღტაცებით რაღაცას მიყვებოდა, ძველი მეგობრების და ძმების ხმები ჩამესმოდა, ხიდის ქვეშ რომ ვიკრიბებოდით ხოლმე მოტოციკლებით, ან შუადღისას კიბეზე ჩამომსხდარი, უხალისოდ ვუკრავდით გიტარას, როცა ჩვენი უფროსი ძმები ნისქვილში მუშაობდნენ. იმ დროს დანარჩენი მეგობრები „ინტელექტუალები“ მყავდა: ჩადი, ნიცშეს მიმდევარი ანთროპოლოგი, სიურრეალისტი კარლო მარქსი, დაბალ ხმაზე მოუბარი და მეტისმეტად სერიოზული, ბებერი ხარი ლი, გაწელილი გამოთქმით ყველაფერს რომ აქილიკებდა, ან კიდევ არმემდგარი კრიმინალები, როგორიც იყო ელმერ ჰასელი, თავისი მეღანქოლიური, დამცინავი ღიმილით; ან კიდევ ჯეინ ლი „ნიუ-იორკერით“ ხელში, დივანზე დაფენილ აღმოსავლურ გადასაფარებელზე წამოგორებული. დინი კი სულ სხვა იყო – ნათელი გონების პატრონი, უაღრესად ჯანსაღად აზროვნებდა, ყოველგვარი ძალდატანებული ინტელექტუალობის და ძალად სიჭკვიანეების გარეშე. მისი „კრიმინალური“ ამბებიც ლაღი ბუნების ბრალი უფრო იყო (გემოზე რომ გაესეირნა, ამიტომ იპარავდა ხოლმე მანქანებს). დასავლური ქარი უქროდა თავში. ნამდვილი ვესტერნის გმირი, ამერიკის პრერიებისადმი მიძღვნილი ოდა, ამერიკული სიხარულის გამომძახილი გახლდათ და მისთვის ყველაფერი მისაღები იყო. ეს კი რაღაც ძალიან ახალი იყო ჩემთვის, რასაც დიდი ხანია ველოდი. მით უმეტეს, რომ ყველა ჩემი ნიუ-იორკელი საზოგადოებაზე გულაცრუებული და ცხოვრებაზე გულგატეხილი მეგობარი გაცვეთილი, წიგნიდან ამო-

კითხული ფრაზებით მელაპარაკებოდა პოლიტიკასა თუ ფსიქონალიზზე და ვგრძნობდი, უკვე თავს მამბებრებდნენ. დინს სულ არ ადარდებდა ეს ამბები, მხოლოდ პურსა და სიყვარულს ეძიებდა ხარბად, ამბობდა: „ფეხებზე მკიდია ყველაფერი, სანამ ამ გოგოს დათრევა შემიძლია და იმისიც, რაც ფეხებშია აქვს...“ ან: „სანამ კიდევ ჭამის ხალისი მაქვს... მაგრად მომშივდა, წამო, ეჭამოთ!“ – და გავცვივდებოდი ხოლმე საჭმელად. ეკლესიასტეც ხომ ამბობს, ესაა შენი ხვედრი მზის ქვემო.

ასეთი იყო ჩემი დასავლელი სულიერი ძმა დინი. მართალია, მამიდა მაფრთხილებდა, მაგასთან ურთიერთობა კარგს არაფერს მოგიტანსო, მაგრამ მე უკვე დასავლეთი მიხმობდა, ახალ ჰორიზონტს ვხედავდი და ჩემს ასაკში თამამად მიყვებოდი ოცნებას. და თუ მოგვიანებით დინმა მართლაც დამალალატა და, შეიძლება ითქვას, მომიკვეთა კიდევ, განა ამას რამე მნიშვნელობა ჰქონდა? მაშინ, ახალგაზრდა მწერალს, სადღაც გაფრენა მინდოდა.

ვიცოდი, სადღაც იქ, გზაზე, უამრავ ქალს გავიცნობდი, უამრავი ახალი სანახაობა მელოდა. სადღაც იქ ჩემთვის უკვე საინტერესო ამბები მზადდებოდა.

2

1947 წლის ივლისი იყო. ვგრძნობდი, უკვე მზად ვიყავი, დასავლეთ სანაპიროსკენ გავდგომოდი გზას. ვეტერანის დახმარებიდან ორმოცდაათი დოლარი მქონდა მოგროვილი. იმ დღეებში სან-ფრანცისკოელი მეგობრის, რემი ბონკერის წერილი მივიღე – ლაინერით მსოფლიოს გარშემო სამოგზაუროდ წავიდეთო. მეფიცებოდა, ლაინერის სამანქანო განყოფილებაში მოგაწყობო. პასუხად მივწერე, ნებისმიერი ძველი სატვირთო გემი და წყნარ ოკეანეში რამდენიმე რეისიც მეყოფა, რომ თავი გავიტანო, სანამ წიგნზე სამუშაოდ ისევ მამიდასთან დავბრუნდები-მეთქი. რემიმ მომწერა – თურმე მილ-სითომი ქოხი ჰქონია – ვიდრე გემის ამბებს მოვაგვარებთ, შეგიძლია, რამდენ ხანსაც გინდა, იქ იჯდე და წერო. ვილაც

გოგოსთან ერთად ცხოვრობდა, ლი ენთან, რომელიც შესანიშნავი მზარეული ყოფილა. საერთოდ, მაიმედებდა, კარგად გავერთობითო. რემი, ჩემი ძველი სკოლის მეგობარი, პარიზში აღზრდილი ფრაგი ბიჭი იყო. ვიცოდი, ცოტას აფრენდა, მაგრამ მაშინ წარმოდგენა არ მქონდა, რომ თურმე მართლა სერიოზულად ურევდა. ათ დღეში იქ უნდა ვყოფილიყავი. მამიდაჩემი დასავლეთში გამგზავრების წინააღმდეგი არ იყო. ის კი არა, ფიქრობდა, რომ, რაც იმ ზამთარს შინ ვიყურყუტე და სწავლითაც გადავიღალე, ცოტა გასეირნება არ მანყენდა; არც იმაზე დაუწუნუნია, ავტოსტოპით რომ ვაპირებდი მგზავრობას. ერთადერთი, რაც ადარდებდა, ჩემი შინ მშვიდობით დაბრუნება იყო. ერთ მშვენიერ დღესაც მოზრდილ ხელნაწერს სანერ მაგიდაზე ადგილი მივუჩინე, უკანასკნელად გავასწორე ჩემი კომფორტული ლოგინი, ტილოს ჩანთაში ჩავალაგე რამდენიმე ყველაზე აუცილებელი ნივთი და ორმოცდაათი დოლარის ამარა წყნარი ოკეანის სანაპიროსკენ გავწიე.

გამგზავრებამდე პატერსონში თვეობით ჩავკირკიტებდი შეერთებული შტატების რუკას, ვკითხულობდი პიონერებზე, ვტკებობდი ისეთი სახელების წარმოთქმით, როგორებიცაა, მაგალითად, პლატი ან სიმარონი და სხვ. საგზაო რუკაზე ერთი გრძელი წითელი ხაზი – მეექვსე გზატკეცილი – კეიპ კოდის კონცხიდან პირდაპირ ნევადის შტატში, ილიში მიდიოდა და იქიდან ქვემოთ, ლოს-ანჯელესისკენ ეშვებოდა. მახსოვს, როგორ გავიფიქრე თავდაჯერებულმა, არსადაც არ გადავუხვევ ამ მეექვსე გზატკეცილიდან, სანამ ილიში არ ჩავალ-მეთქი. მეექვსეს რომ დავდგომოდი, ჯერ დათვის მთაზე უნდა ავსულიყავი. ასე, ოცნებებით და წარმოსახვებით აღსავსე, თუ რაებს ჩავიდენდი ჩიკაგოში, დენვერში, საბოლოოდ კი სან-ფრანცისკოში, მეშვიდე ავენიუზე მეტროში ჩავჯექი და 24-ე ქუჩის ბოლო გაჩერებამდე გავყევი. იქიდან ტრამვაით ონკერამდე განვაგრძე გზა; ონკერის ცენტრში სხვა ტრამვაიში გადავჯექი და ქალაქის განაპირას, მდინარე ჰუდსონის აღმოსავლეთ სანაპიროზე აღმოვჩნდი. წარმოიდგინეთ, მდინარე ჰუდსონში, იდუმალებით მოცულ ადირონდაკის მთებში რომ იღებს სათავეს, ვარდს თუ ჩააგ-

დებ, რა ლამაზ ადგილებს გაივლის და სად არ იმოგზაურებს, ვიდრე საბოლოოდ და სამუდამოდ ზღვას არ შეუერთდება. წარმოიდგინეთ მდინარე ჰუდსონის მშვენიერი ხეობა. გზადაგზა ვილაც-ვილაცებს ვემგზავრებოდი, ხუთი მანქანა გამოვიცვალე და, როგორც იქნა, მივალწიე სასურველ დათვის მთის ხიდს, სადაც ახალი ინგლისიდან მეექვსე გზატკეცილი უხვევს. როგორც კი მანქანიდან გადმომსვეს, ისეთი თავსხმა წამოვიდა, მარტო მთაში რომ იცის. მეექვსე გზატკეცილი მდინარეს კვეთდა, წრიულად უხვევდა და მერე სადღაც მოუსავლეთში იკარგებოდა. არც მოძრაობა იყო გზაზე და თანაც ამ თავსხმა წვიმაში არც თავშესაფარი ჩანდა სადმე. გავიქეცი, ვიფიქრე, ფიჭვს შევაფარებ-მეთქი თავს, მაგრამ ამაოდ. ტირილი ამივარდა; ვილანძღებოდი და თავში ხელს ვიცემდი, ასეთი შტერი რომ გამოვდექი. ნიუ-იორკს ორმოცი მილი მაშორებდა. ყველაზე მეტად ის მადარდებდა, რომ სანატრელი დასავლეთის ნაცვლად ჯერჯერობით სულ ჩრდილოეთით მიწევდა სვლა. ახლა კიდევ საერთოდ გავეჩხირე ამ უკიდურეს ჩრდილოეთში. მეოთხედი მილი გავიწვინე და რაღაც მიტოვებულ ინგლისური სტილის ბენზინგასამართ სადგურს მივადექი. გადახურული ადგილი ვიპოვე, მაგრამ იქაც ატანდა წვიმა. ჩემს თავს ზემოთ უზარმაზარი, ბანჯგვლიანი დათვის მთა გადმონოლილიყო, მესხ მტყორცნიდა და გულს მიხეთქავდა. ძლივს ვარჩევდი ხეებს, მთელი ეს მოღუშული სივრცე თითქოს ცას მიერთებოდა.

– რა ჯანდაბა მინდა აქ? – ვიგინებოდი და ვტიროდი. ისე მინდოდა, იმ წუთას ჩიკაგოში ვყოფილიყავი. – ახლა ჩიკაგოში მაგარ დროს ატარებენ. მე კიდევ არც ვიცი, როდის ჩავალწე იქ. ამ დროს მიტოვებულ ბენზინგასამართ სადგურთან მანქანა გაჩერდა; შიგ ერთი კაცი და ორი ქალი იჯდა, ეტყობა, რუკის შესწავლა უნდოდათ. წვიმაში გავაბიჯე და ხელი დავუქნიე. ბჭობა დაიწყეს. დარწმუნებული ვარ, მანიაკს ვგავდი, თმიდან წურწურით წყალი მდიოდა და ფეხზე გალუმპული ფეხსაცმელი მეცვა. ეს ფეხსაცმელი მაინც რამ ჩამაცმევინა, თუ მართლა იდიოტი არა ვარ, მექსიკური სანძღლები, საცერით რომ ატარებდა წყალს და სრულებით

არ შეეფერებოდა არა მარტო ამერიკულ წვიმიან ღამეს, არამედ, საერთოდ, ნესტიან ამინდს. გაგიკვირდებათ და მანქანაში ჩამსვეს, მერე ჩრდილოეთით, ნიუბურგისკენ გავაგრძელებთ გზა. მაინც ეს ჯობდა, ვიდრე უკაცრიელ დათვის მთასთან მთელი ღამის გატარება.

– მით უმეტეს, – მითხრა კაცმა, – რომ ამ გზატკეცილზე მოძრაობა არ არის. ჩიკაგოში მოხვედრა თუ გინდა, ნიუ-იორკიდან გვირავ „ჰოლანდის“ გავლით პიტსბურგისკენ უნდა აიღო გეზი.

ვიცოდი, მართალს მეუბნებოდა. ყველაფერი ჩემი სულელური ოცნების ბრალი იყო, ბუხართან გამთბარი, კოშკებს რომ ვაგებდი, რა საოცარი რამე იქნება, გავყვე პირდაპირ გრძელ წითელ ზოლს, მთელ ამერიკის კონტინენტს რომ კვეთს და გადაჯდომებით და გზების გამოცვლით თავი არ ავიტკივო-მეთქი.

ნიუბურგში წვიმამ გადაიღო. იძულებული გავხდი, ავტობუსით ნიუ-იორკში გავმგზავრებულიყავი. ავტობუსში სკოლის მასწავლებლების დელეგაციას დავემგზავრე, მთაში გატარებული შაბათ-კვირის შემდეგ ბრუნდებოდნენ და მთელი გზა გაუჩერებლად ლაქლაქებდნენ. მე კი გულში ვილანძღებოდი, ფულიც ტყუილად დავხარჯე და თანაც, დასავლეთისკენ მიმავალი, დღედაღამე უთავბოლოდ, ზევით-ქვევით, ხან ჩრდილოეთის და ხანაც სამხრეთისკენ დავხეტებოდი და თან თითქოს ადგილიდან ვერ ვიძვროდი. დავიფიცე, ხვალ ჩიკაგოში ვიქნები-მეთქი და ჩიკაგოს ავტობუსის ბილეთი ვიყიდე. რაც მეზადა, იმის ნახევარზე მეტი დავხარჯე, მაგრამ აღარ ვჩიოდი, ოღონდაც ჩიკაგოში ჩამელწია.

3

ჩვეულებრივი ავტობუსი იყო. თაკარა მზე გვაჭერდა, ბავშვების ჯღავილს იქაურობა მიჰქონდა. პენსილვანიის ყველა ქალაქში უჩერებდა მგზავრებს, ვიდრე ოჰაიოს დაბლობზე გემრიელად არ გავგორდით. ამტაბულისკენ ავუხვიეთ და მერე მთელი ღამე ინდიანას ვჭრიდით. ჩიკაგოში დილით ადრე ჩავედით, ახალგაზრდულ